პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 38 (1052) | ხუთშაბათი, 28 მარტი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

ჩვენი გამოსვლები ბირმასა და ჩინეთში

◆

გ. ვ. სიხარულიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, ბირმასა და ჩინეთში სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი.

◆

უკვე კარგა ხნით ადრე, სანამ თვითმფრინავები თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებით მოწყდებოდნენ აეროდრომს და აიღებდნენ კურსს ჩინეთისაკენ, ვცოდით, რომ ჩვენი გუნდი რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად მიწვეულია ინდო-ჩინეთის ქვეყნებში. ეს გამგზავრება უნდა მომხდარიყო ჯერ კიდევ თებერვალში, მაგრამ დაყოვნება მოხდა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. და აი სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატისათვის გაცხარებული სამზადისის პერიოდში, როცა ჩვენმა მომავალმა მოწინააღმდეგეებმა დაიწყეს საკონტროლო-საწვრთნელი მატჩები, ჩვენს წინ დადგა ამოცანა — წარგვედგინა საბჭოთა ქვეყნის ფეხბურთი ბირმაში. (შევნიშნავ, რომ ჩვენამდე ამ ქვეყანაში სტუმრად იყო მოსკოვის „ლოკომოტივი“, რომელმაც ჩაატარა ამხანაგური მატჩები 1955 წლის დეკემბერში). მაგრამ საზღვარგარეთულ მივლინებას ასეთ უჩვეულო დროს კოლექტივი სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა, ვინაიდან ეს საერთაშორისო შეხვედრები ფაქტიურად საკონტროლო შეხვედრებსაც წარმოადგენდა.

უკვე მოსკოვში, სადაც ჩვენ ჩავედით 1 მარტს, „ვიგრძენით“ ბირმის გაზაფხულის სითბო — ვცდილობდით საგაზაფხულოდ გამოვწყობილიყავით და ზამთრის პალტოების მაგივრად წაგვეღო მსუბუქი პლაშჩები და ზაფხულის კოსტიუმები, მაგრამ ვინაიდან წინ გვქონდა შორი გზა გაჩერებებით ურალისა და ციმბირის ქალაქებში, ჩვენ მოგვცეს შენიშვნა, რომ სეზონის მიხედვით მაინცდამაინც არა ვართ გამოწყობილნი. გამგზავრების საზრუნავით გართულ გუნდს მხედველობიდან არ გამორჩენია წვრთნაც — დინამოელებმა ივარჯიშეს „დინამოს“ სტადიონის მანეჟზე.

დადგა გამგზავრების საათი. 3 მარტს, გვიან ღამით, ორ ჯგუფად გაყოფილი ჩვენი დელეგაცია გაემგზავრა აღმოსავლეთისაკენ. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მოთამაშეები ვ. მარღანია, მ. პირაევი, ვ. ელოშვილი, ნ. ძიაპშიპა, გ. ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, ა. დოლბერიძე, ვ. რამიშვილი, ბ. ხასაია, კ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ზაზროშვილი, ა. ჭკუასელი, მ. მესხი, შ. იამანიძე, ვ. ბარქაია, მწვრთნელები გ. ჯეჯელავა, ა. კიკნაძე, გუნდის უფროსი ზ. ბერძენიშვილი, მასაჟისტი ა. კაპიტონოვი და მე, დელეგაციის ხელმძღვანელი გ. სიხარულიძე.

პირველი გაჩერება გვქონდა ირკუტსკში, სადაც ყინვა 20 გრადუსს აღწევდა. აქ გავათენეთ ღამე და დილით გავემგზავრეთ ულან-ბატორისაკენ. ულან-ბატორში დაგვხვდა ნათელი, მზიანი ამინდი, მაგრამ სინდიყის წყალი თერმომეტრებში — 30 გრადუსამდე იყო გაჩერებული. მცირე შესვენების შემდეგ განვაგრძეთ გზა და სამი საათის შემდეგ უკვე პეკინში ვიყავით. აქ შეგვატყობინეს, რომ დელეგაციის მეორე ნახევარი შეფერხდა გზაში და ჩამოვა მხოლოდ მეორე დღეს.

პირდაპირ აეროდრომიდან გავემართეთ სტადიონისაკენ წვრთნის ჩასატარებლად. ჯერ კიდევ ქალაქის გარეუბანში თვალში გვეცემათ ველოსიპედისტთა ურიცხვი რაოდენობა. ველოსიპედზე სხედან კაცები, ქალები ბავშვები, ხანშესულები, ქალაქისაკენ მიემგზავრებოდნენ მრავალრიცხოვანი ველო-რიქშები, ისინი ქალაქში მიემართებოდნენ ძირითადად ძველი პეკინის მხრიდან. ძველი პეკინი მტვრიანი და მეტად ხმაურიანია. გაცხარებული ვაჭრობა ყოველგვარი საქონლით მიმდინარეობს ფარდულებთან და მაღაზიებთან, რომლებიც ერთმანეთთან მიჯრითაა მიწყობილი და ერთ მთლიან რიგს ქმნიან.

სულ სხვა ქალაქია ახალი პეკინი. მრავალსართულიანი სახლები, ფართო, ასფალტირებული და გამწვანებული პროსპექტები, ფაბრიკებისა და ქარხნების კორპუსები, ხარაჩოები. ქალაქის საფუძვლიანად დათვალიერების საშუალება არა გვქონდა, ვინაიდან ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ ერთი საღამო, დილით კი კვლავ გზას უნდა გავუდგეთ. მიუხედავად იმისა, რომ უთენია ავდექით, როცა ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, გაგვაკვირვა ნახულმა სურათმა: ყველგან, საითაც გავიხედეთ — ქუჩებში, ეზოებში, პარკებში, ჩვენ ვხედავდით სხვადასხვა ასაკის პეკინელებს, რომლებიც გულმოდგინედ ღებულობდნენ დილის ფიზიკურ დაპურვას, დარბოდნენ, ვარჯიშობდნენ.

პეკინიდან თვითმფრინავმა კურსი აიღო სამხრეთ-დასავლეთისაკენ. პეკინ-რანგუნის ტრასაზე გაჩერება გვქონდა სიანში და კუნმინში. ჩვენს ქვეშ გადაჭიმულ მაღალმთიან ქედებს ცვლიდა ბრინჯის მწვანე მინდვრები. კუნმინში გვქონდა მორიგი ღამისთევა. მას ჩინელები მარადიული გაზაფხულის ქალაქს უწოდებენ. მართლაც, აქ ისეთი შესანიშნავი კლიმატური პირობებია, რომ ჭირნახულის აღება წელიწადში 3-4-ჯერ შეიძლება. როცა მე სასტუმროს ფანჯრიდან ვუცქერდი კუნმინს, რატომღაც მომაგონდა ჩვენი ქუთაისი და მისი „დათეშიძის მთა“.

და აი ჩვენი გზის უკანასკნელი ეტაპი. გავცდით ჩინეთ-ბირმის საზღვარს. დავეშვით ბირმის პირველ ქალაქში — მანდალაიში. შემდეგ თვითმფრინავმა სწრაფად განვლო დარჩენილი მანძილი და საბოლოოდ გაჩერდა რანგუნის აეროდრომზე. ჯერ კიდევ მანდალაიში, რომელიც ბირმის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, იგრძნობოდა კონტრასტი კუნმინის ჰავასთან, რანგუნის სიახლოვეს კი თვითმფრინავში ისე ჩამოცხა და ჰაერი ისე დაიხუთა, თითქოს იგი ქურაში იმყოფებოდა.

რანგუნში დაგვხვდნენ საბჭოთა საელჩოსა და ბირმის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები (ბირმაში ფიზკულტურასა და სპორტს განაგებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო), ბირმის საფეხბურთო ფედერაციის პრეზიდენტი და მდივანი, სპორტული მუშაკები, კორესპონდენტები, რეპორტიორები. აქაური წესის მიხედვით გოგონებმა კისერზე ჩამოგვკიდეს ყვავილების გირლიანდები.

ჩვენი ჩამოსვლის დღეს ქალაქის სტადიონზე დანიშნული იყო მატჩი ბირმის პირველ და მეორე ნაკრებ გუნდებს შორის, რომელსაც უნდა გამოევლინებია ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგე. ამიტომ მათთან გაცნობის მიზნით მე და კიკნაძე გავემგზავრეთ მატჩის საყურებლად, ხოლო ყველა დანარჩენი კი წვრთნაზე. პირველივე გაცნობამ ბირმელ ფეხბურთელებთან დაადასტურა ჩვენი წინასწარი შეხედულება მათს შესახებ — დინამოელები მათთან შედარებით საგრძნობლად ძლიერი არიან როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. მაგრამ ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგეები თამაშობდნენ მეტად მაღალ ტემპში და მიჩვეული არიან ადგილობრივ პირობებს. საქმე მხოლოდ და იმდენად მაღალ ტემპერატურაზე არაა, როგორც ჰაერის მეტად მაღალ ნესტიანობაში, რის გამოც ისეთი შეგრძნება გვრჩებოდა, თითქოს ჰაერი არ გვყოფნიდა სასუნთქად.

პირველ მატჩამდე დარჩენილი გვქონდა სამი დღე (იგი დანიშნული იყო 11 მარტისათვის) და ჩვენ გადავწყვიტეთ ეს დრო გამოგვეყენებინა ქალაქის დასათვალიერებლად, ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად. არ დავაყოვნეთ მისვლა ჩვენს თანამემამულეებთან — საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებთან, სადაც შევხვდით საბჭოთა კავშირის ელჩს ამხ. დ. შებორინს.

დავათვალიერეთ რანგუნის პორტი, „სამეფო ტბა“, რომელიც წარმტაც პარკშია გადაშლილი. ვნახეთ უძველესი ბუდისტური ტაძარი შვე-დაგონი. ამგვარი ტაძრები ბირმის პეიზაჟის განუყოფელი ელემენტია. საითაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან თვალში მოგხვდებათ სხვადასხვა ზომის, მორთულობისა და სიმდიდრის ტაძრები. ჩვენ გვიამბეს, თუ რა დიდ როლს თამაშობს ბუდისტური რელიგია ბირმის ხალხის ცხოვრებაში.

მხოლოდ 9 მარტს, როგორც იქნა, ჩამოვიდა დელეგაციის დარჩენილი ნაწილი და შესაძლებლობა მოგვეცა ჩაგვეტარებინა პირველი ერთობლივი წვრთნა. ვარჯიში ჩავატარეთ ცენტრალური სტადიონის მცირე მინდორზე, ვინაიდან ცენტრალური ბირთვი დაკავებული იყო მძლეოსანთა შეჯიბრებით. საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ბირმაში პოპულარობით სარგებლობს სპორტის მხოლოდ რამდენიმე სახეობა. პირველ ყოვლისა, ესაა ფეხბურთი, ბალახის ჰოკეი, სიმძიმეების აწევა, კრივი, მძლეოსნობა.

დადგა მატჩის დღეც, რომლის ბილეთები ჯერ კიდევ ჩვენს ჩამოსვლამდე იყო გაყიდული. სტადიონზე წასვლა შორს არ გვჭირდება — საკმარისია მხოლოდ გადახვიდე ქუჩა. ამიტომ ჩვენ არ ვჩქარობდით და სასტუმროდან ვუცქერდით, თუ როგორ ივსება ნელ-ნელა სტადიონი. სტადიონის სამ ტრიბუნას აქვს დასაჯდომი ადგილები და სახურავი, რომელიც ძვირად ღირებული ბილეთების მფლობელთ იცავს მზის მწველი სხივებისა და წვიმისაგან. მეოთხე ტრიბუნა, რომელიც ყველაზე იაფია, მოკლებულია როგორც დასაჯდომებს, ისე სახურავს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

• • •

სურათზე: მარცხნივ — ბირმის პრეზიდენტი უ ნუ ეცნობა თბილისის „დინამოს“ გუნდს; მარჯვნივ — ვ. ელოშვილი მიესალმება თავის მომავალ მოწინააღმდეგეს.

ჭადრაკი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). 26 მარტს შედგა IX პარტია.

მოწინააღმდეგეებმა ძველინდური დაცვა გაითამაშეს, რომელსაც ვ. სმისლოვი ამ მატჩში დაჟინებით იყენებს შავებით თამაშის დროს. ამჯერად მან ბრძოლა ახალი მიმართულებით წარმართა. მაგრამ, როგორც შემდგომ მ. ბოტვინიკის სვლებმა ცხადყვეს, სმისლოვის სტრატეგიული გეგმა არ იყო სწორი. მსოფლიო ჩემპიონმა ენერგიულად შეუტია ცენტრს და ჩაახშო მეტოქის აქტივობა ლაზიერის ფრთაზე.

ბრძოლა მწვავდებოდა. მე-17 სვლაზე სმისლოვს შეეძლო ეტლების გაცვლით კონტრთამაში შეექმნა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. ამის გამო ბოტვინიკის პოზიციური უპირატესობა უფრო დიდი გახდა. პარტიის ბედი თითქოს უკვე გადაწყვეტილი იყო მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ, მაგრამ საქმეში ცაიტნოტი ჩაერია, რომელმაც ძალზე შეაწუხა ბოტვინიკი.

მსოფლიო ჩემპიონმა ვერ მონახა უპირატესობის რეალიზაციის მართებული გზა, დროულად არ გაცვალა ლაზიერები. ამით დაუყოვნებლივ ისარგებლა სმისლოვმა, რომელმაც პაიკის შეწირვით თავისი ლაზიერი მეფის ფრთაზე გადმოიყვანა და ძლიერ კონტრთამაშში ჩაება. მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც დაცვაზე გადავიდა, უხეში შეცდომით სმისლოვის ეტლს ერთადერთი მნიშვნელოვანი ხაზი დაუთმო.

ბრძოლა ისევ ცაიტნოტში მიმდინარეობს. ბოტვინიკი სწირავს მხედარს, რაც ამ მომენტისათვის არ იყო მიზანშეწონილი. სმისლოვი სწრაფად გადავიდა იერიშზე და შამათით დაემუქრა მსოფლიო ჩემპიონის მეფეს. ბოტვინიკს ისღა დარჩა, რომ მუდმივი ქიშით ყაიმით დაკმაყოფილებულიყო.

ამრიგად, IX პარტიის შემდეგ კვლავ ვ. სმისლოვს მიჰყავს ანგარიში — 5:4.

მე-25 ჩემპიონატის ზონალური ტურნირი

3 აპრილს თბილისში, შ. რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, დაიწყება საბჭოთა კავშირის XXV საჭადრაკო ჩემპიონატის ამიერკავკასიისა და მოლდავეთის მოჭადრაკეების ზონალური ტურნირი.

შეჯიბრებიდან, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 20 მოჭადრაკე, ნახევარფინალში გავა პირველი სამი გამარჯვებული. საქართველოდან ტურნირში ითამაშებენ: რესპუბლიკის 1957 წლის ჩემპიონი ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე, ოსტატები მ. შიშოვი და ა. ბუსლაევი, პირველთანრიგოსნები თ. კიკიანი, თ. ლომაია და მ. დემურია. აზერბაიჯანიდან: რესპუბლიკის 1957 წლის ჩემპიონი ოსტატი ს. ქუხოვიცკი, ოსტატი ს. ჰალილბეილი, ოსტატობის კანდიდატები ვ. ბაგიროვი, ლ. ლისტენგარტენი, ა. აბაკაროვი და პირველთანრიგოსანი ბაილე, სომხეთიდან: რესპუბლიკის 1957 წლის ჩემპიონი ოსტატობის კანდიდატი ვ. მიასნიკოვი, ოსტატობის კანდიდატები ვ. ზახარიანი, ა. სარქისიანი და პირველთანრიგოსანი ა. მნაცაკანიანი. მოლდავეთიდან ტურნირში მონაწილეობას მიიღებს ორი მოჭადრაკე. შეჯიბრებაზე კონკურსგარეშე ითამაშებენ გროსმაისტერები მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი) და საერთაშორისო ოსტატი რ. ხოლმოვი (ვილნიუსი).

ლიდერობს ა. კოტოვი

კურორტ მარ-დელ-პლატაში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდიან საბჭოთა გროსმაისტერები პ. კერესი და ა. კოტოვი. გათამაშებულ ექვს ტურში მათ ყველას გაუსწრეს.

გროსმაისტერმა ა. კოტოვმა ზედიზედ დაამარცხა ა. ესპოტისო (არგენტინა), ა. გაჩარნა (კოლუმბია), ო. ალბერტო (არგენტინა), მ. მანჟინი (ბრაზილია), ფ. კასისი (არგენტინა), და ვ. ადერა (ჩილი).

ამრიგად, VI ტურის შემდეგ ლიდერობენ ა. კოტოვი (6 ქულა) და პ. კერესი (5 ქულა).

ჩვენი გაზეთის რეიდი

◆

ცხაკაია

☆

მოტყუებული მოსწავლეები

ბავშვები ჯგუფად შეგროვილან ცეცხლის ხაზზე. ერთ მათგანს ხელში შაშხანა უპირავს და მოთმინებით უმიზნებს.

— ესროლე, შენც ერთი... — არ აცლიან აბეზარი ამხანაგები.

— მასწავლებელო, უთხარით რამე, თავი დამანებონ.

— ბიჭებო, აცალეთ, ხელს ნუ უშლით!

ფიზკულტურის მასწავლებლის ი. გუგუნავას ეს სიტყვები ქარს მიაქვს. ცელქი მოსწავლეები ჯიუტად განაგრძობენ თავის საქმეს და წონასწორობიდან გამოსული მსროლელიც უმისამართოდ აგზავნის ვაზნებს.

— შემდეგი ვინ არის? — კითხულობს ფიზკულტურის მასწავლებელი, — აბა, ჩქარა, ორი საათისათვის ყველაფერი უნდა დავამთავროთ.

— აქი გვითხარით, საცდელი სროლისათვის სამ-სამ ვაზნას მოგცემთო, — პროტესტს აცხადებენ მოსწავლეები.

— ხომ ხედავთ, რამდენი ახალი მონაწილე შემოგვემატა, ვაზნები არ გვეყოფა, — იყო მასწავლებლის პასუხი.

ასეთ სურათს წავაწყდით ჩვენ ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლაში შიდასაკოლექტივო ფესტივალის სპორტული ნაწილის ჩატარების დროს. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ეს სურათი ცხადად მეტყველებს, როგორ ორგანიზებულად ჩატარდა სასკოლო შეჯიბრება სროლაში. იქნებ სპორტის სხვა სახეობებში გამოიჩინეს თავი? დადებითად ვერც ამ კითხვაზე ვუპასუხებთ. გაიქცნენ მოსწავლეები მოასფალტებულ გზატკეცილზე — გაფორმდა ოქმი მძლეოსნობაში, მოზარდთა თანრიგის 4 შედეგით. ფიზკულტურის მასწავლებელს ი. გუგუნავას სურს დაიტრაბახოს და უნებლიედ სააშკარაოზე გამოაქვს თავისი მუშაობის ჩრდილოვანი მხარეები — მართალი გითხრათ, ასეთ შედეგს არ მოველოდით უვარჯიშებელი ბავშვებისაგანო.

დიახ, ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეები მოუმზადებელი გამოვიდნენ ფესტივალის სპორტულ შეჯიბრებებზე, ხოლო კალათბურთში შეჯიბრება სულაც არ ჩაუტარებიათ მაშინ, როცა იგი შეტანილი იყო ფესტივალის პროგრამაში. მიზეზად უამინდობა მოიშველიეს, მაგრამ ამინდიც რომ ყოფილიყო, სად ჩაატარებდნენ შეჯიბრებას? იმ გაპარტახებულ მოედანზე ხომ არა, რომლის ერთადერთი ფარი თათქარიძის საბძელივით მიწაზე წამოწოლას აპირებს? ასე მოუმზადებლად, უპასუხისმგებლოდ ჩაატარეს ამ სკოლაში ფესტივალის სპორტული ნაწილი — ერთადერთი სპორტული ღონისძიება 1956 წლის სექტემბრიდან დღემდე.

რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ სკოლის დირექცია (დირექტორი ვ. განგია), კომკავშირული ორგანიზაცია, ფიზაღზრდის მასწავლებლები არ იბრძვიან სკოლაში სპორტის განვითარებისათვის, სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას არ უწევენ ფიზკულტურულ კოლექტივს. ნათქვამის დასამტკიცებლად ზემოაღნიშნულს კიდევ რამდენიმე ფაქტს დავუმატებთ. 567 მოსწავლედან ფიზკულტურული კოლექტივის წევრია 127 (ესეც ზეპირი განცხადებით), კოლექტივის სია არ არის დაზუსტებული, ფორმალურად არსებობენ კალათბურთის, მძლეოსნობის სექციები, მოუწყობელია ბაზები, შარშან სკოლის საჭიროებისათვის მხოლოდ 300 მანეთის ინვენტარი შეიძინეს. აქ დაგისახელებენ თანრიგოსან სპორტსმენებსაც, მაგრამ ყველა ისინი სპორტსკოლაში აღიზარდნენ და ფიზკულტურულ კოლექტივს ამ საქმეში დამსახურება არ მიუძღვის.

აიღე ვალდებულება — შეასრულე კიდეც

ცხაკაიას პირველი საშუალო სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს მოწინავედ თვლიან რაიონში. ჩვენ გავეცანით მის მუშაობას და ვფიქრობთ აქ ნაკლოვანებებსაც სერიოზული ხვედრითი წონა აქვს. კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი მოუწყობელია, ოდნავი წვიმის დროსაც ძლიერ ტალახიანდება.

როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა გასული წლის იანვარში დაუშვეს ბრძანება სკოლებში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ეს ბრძანება აქ დღემდე არ მიუღიათ. ამიტომ მუშაობაც ძველ ყაიდაზე მიდის. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე პედსაბჭოს (სკოლის დირექტორი ნ. დემურია) ერთხელაც არ განუხილავს სკოლაში ფიზაღზრდის სწავლების საკითხი. ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის სექციებში ჩაბმულია მოსწავლეთა უმნიშვნელო რიცხვი. ფიზკულტურული კოლექტივი თავის რიგებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 20 პროცენტს ითვლის.

სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის გამოყოფილი არაა სპეციალური ოთახი. სპორტული ინვენტარი — ღერძი, ტაიჭი და სხვ. საიმედოდ არის გამოკეტილი საწყობში. საინტერესოა, რატომ დახარჯეს თანხები ინვენტარის შესაძენად თუ მას არც მზეს უჩვენებდნენ და არც მოსწავლეებს? სკოლას შეფობას უწევს „სპარტაკის" რაიონული საბჭო. შეფის „მთელი დახმარება" იმაში გამოიხატება, რომ მოწინავე მოსწავლე სპორტსმენებით თავის გუნდებს აკომპლექტებს.

სპორტულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დაფარვას აქ საზეიმო დაპირებებით ცდილობენ. ფაქტი? აი ისიც. მოსწავლეთა შორის მასობრივ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პირველმა საშუალო სკოლამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მესამე საშუალო სკოლის კოლექტივი და საყურადღებო ვალდებულებანი აიღო: სრულ წესრიგში მოეყვანა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მოეწყო მძლეოსნობის სექტორები, გამოეყო სპორტული ოთახი, შეეძინა ინვენტარი, გამოეცოცხლებინა და მრავალრიცხოვანი გაეხადა სპორტული სექციები, მიეღწია იმშთ და მშთ ნიშნოსანთა, თანრიგოსან სპორტსმენთა რიგების ზრდისა და განმტკიცებისათვის. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ვადა იყო 15 მარტი, მაგრამ დღემდე არც ერთი პუნქტი არ არის შესრულებული. დაპირებებით, ვალდებულებათა აღებით მხოლოდ გულუბრყვილოებს თუ დავაჯერებთ. უფრო ნაკლები საქაღალდო აურზაური და მეტი — პრაქტიკული საქმე!

იმედით ცოცხლობენ

როცა ცხაკაიას მეორე საშუალო სკოლაში შევედით, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ბოკუჩავა მოსწავლე გ. ხუხანიას აკრობატიკაში ავარჯიშებდა. სამეცადინო ადგილს წარმოადგენდა სკოლის დერეფანში დაფენილი ფარდაგის ნაგლეჯი. მოტიტვლებულ იატაკზე ისეთი რთული ილეთის შესრულება, როგორიცაა მალაყი, და მით უმეტეს, თუ საქმე გვაქვს დამწყებ აკრობატებთან, გაუმართლებელია.

— რა ვქნა, მოთხოვნებს კი გვიყენებენ, მაგრამ იმას არ კითხულობენ, გვაქვს თუ არა საამისო პირობები, — გვითხრა ფიზკულტურის მასწავლებელმა გ. ბოკუჩავამ. ამაში ჩვენც მალე დავრწმუნდით.

სკოლას არ გააჩნია სპორტული ბაზები, ინვენტარი. ადრე აქ ჰქონდათ კალათბურთის მოედანი, მაგრამ უკეთესის მოწყობის მოლოდინში ისიც მიივიწყეს და სულ მშრალზე დარჩნენ. სპორტული ბაზების უქონლობის გამო აქ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლის პირზეა მისული. სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი შედგენილია შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად. გასული წლიდან დღემდე აქ მხოლოდ ჭადრაკში ჩაატარეს სასკოლო ჩემპიონატი. ეს არის და ეს, რაც ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის აქტივში შეიძლება ჩაიწეროს. მძლეოსნობის სექციას ერთხელაც არ უმეცადინია, ხოლო კალათბურთისა და ფრენბურთის სექციებმა მთელი საქმიანობა რამდენიმე მეცადინეობით ამოწურეს.

სკოლაში 560 მოსწავლიდან მხოლოდ 7 თანრიგოსანია, მოსალოდნელი იყო, რომ სასკოლო ფესტივალისათვის მზადების პერიოდში დირექცია, კომკავშირული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას მიაქცევდნენ ბაზების მოწყობას, მოსწავლეთა ჩაბმას სპორტულ სექციებში, მაგრამ რატომღაც პირიქით მოხდა. ახლა ყურადღება მხატვრულ თვითმოქმედებაზე გადაიტანეს და სპორტი მთლიანად მიივიწყეს. ჩვენ მხატვრული თვითმოქმედების მოწინააღმდეგე როდი ვართ, მაგრამ სკოლის ხელმძღვანელებს გვინდა მოვაგონოთ, რომ კარგ კონცერტზე ნაკლები მნიშვნელობა არც კარგად ჩატარებულ სპორტულ შეჯიბრებებს აქვს. სპორტის მნიშვნელობის ასეთი შეუფასებლობით აიხსნება ისიც, რომ სასკოლო ფესტივალის სპორტული პროგრამა ამოიწურება „ხევსურული ცეკვით", ქალაქის ქუჩებში ლაშქრობის (!) მონაწილეებთან შეხვედრით, ამხანაგური მატჩის ჩატარებით კალათბურთში.

— სპორტში ამ ჩამორჩენას ბოლოს მოვუღებთ — გვითხრა სკოლის დირექტორმა ნ. გუგუნავამ, — მალე ისეთ ბაზებს მოვაწყობთ, რომ რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებაში პირველი ადგილი დავიკავოთ.

ნათქვამია, გაჭირვებული იმედით ცოცხლობსო. სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი მოუთმენლად მოელის იმ დღეს, როცა დაპირებებს პრაქტიკული შედეგი მოჰყვება.

მახარაძე

☆

თვალსაჩინო აგიტაციის ძალა

მახარაძის პირველი საშუალო სკოლის სპორტულ ცხოვრებაში მკვეთრი შემობრუნების პერიოდი იყო 1956 წელი. სკოლის ფიზკულტურელებმა საჩუქრად მიიღეს კეთილმოწყობილი დარბაზი, შეიძინეს 11 ათასი მანეთის სპორტული ინვენტარი, შეიქმნა პირობები სექციური მუშაობის გაშლისათვის, მაგრამ ეს ყველაფერს მაინც არ ნიშნავდა. სექციებში მომეცადინეთა ტექნიკის სრულყოფისათვის აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს თვალსაჩინო აგიტაციას. ფიზკულტურის უფროსი მასწავლებლის ვ. კილაძის რჩევით, დირექციამ (დირექტორი გ. კალანდარიშვილი) შეიძინა 15 სასწავლო სპორტული კინოფილმი ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთისა და სპორტის სხვა სახეობათა შესახებ. ამ ფილმებს რეგულარულად უჩვენებენ სკოლაში მოწყობილი კინოდანადგარით. თვალსაჩინო აგიტაციამ თავისი ძალა იჩინა. ამ ფილმებზე დასწრებით მოსწავლეები იძენდნენ სპორტულ ცოდნას, ტექნიკურ ჩვევებს და თანდათან სრულყოფდნენ მომზადების დონეს. წარმატებებს მიაღწია ტანვარჯიშის სექციამ, რომელსაც ფიზაღზრდის მასწავლებელი ლ. გოგოლაძე ხელმძღვანელობს. აქ აღიზარდნენ პირველი თანრიგოსნები სპორტის ამ სახეობაში. ახლა ეს სექცია ერთ-ერთი უძლიერესია რაიონში. მეორეთანრიგოსანი ტანმოვარჯიშეები ჰ. შარაბიძე, ი. ევგენიძე, ო. ლომჯარია, აგრეთვე რ. გარდაფხაძე რაიონის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიან. კალათბურთელ ვაჟთა გუნდი რაიონის ჩემპიონია. მაგრამ აქ წარმატებებით როდი გათამამდნენ. პირიქით, მთელი მონდომებით იბრძვიან მოპოვებულ მიღწევათა შესანარჩუნებლად. ერთ-ერთი პრაქტიკული ნაბიჯი ამ საქმეში გადადგეს კალათბურთის სექციის შექმნით, რომელშიც გაერთიანებულია დაბალი კლასების მოსწავლეები. ახლო მომავალში ისინი მტკიცედ დაიკავებენ სკოლადამთავრებულთა ადგილს სპორტულ სარბიელზე და იბრძოლებენ კოლექტივის ღირსებისათვის. ახლა სკოლაში რეგულარულად მეცადინეობს ტანვარჯიშის, კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის სექციები, იმართება შეჯიბრებები, რის შედეგადაც იზრდება თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა რიგები. სერიოზული ყურადღება ექცევა მოწინავე სპორტსმენთა წახალისებას. მათ უცხადებენ მადლობას ბრძანებით და აჯილდოებენ ლიტერატურით.

სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. კერძოდ, სათანადოდ არაა მოწყობილი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ქვა-ღორღისაგან მათი გაწმენდა შეიძლებოდა მოსწავლეთა ძალებითაც, მაგრამ ინიციატივა არც კომკავშირელებმა გამოიჩინეს და არც ფიზკულტურელებმა. მიუტევებელია ის ფაქტი, რომ არ მეცადინეობს მძლეოსნობის სექცია, არ იმართება მასობრივი კროსები, სასკოლო შეჯიბრებები სპორტის ამ სახეობაში.

ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმას სპორტულ სექციებში, 645 მოსწავლიდან სპორტულ საქმიანობაში ჩაბმულია მხოლოდ 100-მდე ფიზკულტურელი. გამოთქმა — უმჯობესია ცოტა და კარგი, ყოველთვის როდია გამართლებული. ჩვენ გვინდა სკოლაში გვყავდეს ბევრი და კარგი სპორტსმენი — საბჭოთა სპორტის ოქროს ფონდი.

◆

დოკუმენტები და ცოცხალი ფაქტები

მახარაძის მე-3 საშუალო სკოლაში ღია სპორტული ბაზების მხრივ არც თუ ისე ცუდი მდგომარეობაა. სკოლის ეზოში არის კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სატყორცნი სექტორები, სახტომი ორმოები, მაგრამ ბაზა სექციური მუშაობისათვის გამოუყენებელია და ძირითადად ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარებას ემსახურება. ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. ვადაჭკორია გვიჩვენებს კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის სექციებში გაერთიანებულთა სიებს, სამუშაო გეგმებს, აღრიცხვის ჟურნალებს, მაგრამ ეს არ არის სკოლაში სექციების მუშაობის დამადასტურებელი ეჭვმიუტანელი დოკუმენტი. ცოცხალი ფაქტები სულ სხვაზე ღაღადებენ.

სექციურ მუშაობაში არსებულ ფორმალიზმზე მკაფიოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტები: სკოლაში არის მხოლოდ 5 მესამეთანრიგოსანი, 2 მოსწავლე შედის რაიონის ნაკრებ გუნდებში, კალათბურთელთა შეჯიბრებაზე დაიკავეს მეშვიდე ადგილი. ამას რომ თავი დავანებოთ, არც დოკუმენტების გაფორმებაში არის ყველაფერი რიგზე, მაგალითად, კალათბურთის სექციის მუშაობის აღრიცხვის რვეულში ჩატარებული მეცადინეობის ადგილზე წერია — არ შემდგარა ცუდი ამინდის გამო. მხოლოდ მორიგი მეცადინეობა უკვე სხვა თემაზე ჩატარებულა. ეს იმას ჰგავს, კაცმა რომ სახლი აგოს და კედლების ამოყვანა დაავიწყდეს. მძლეოსნობაში შეჯიბრების დროს არ ხდება დროის ზუსტი ფიქსირება მაშინ, როცა შედეგები შეაქვთ იმშთ და მშთ ჩასათვლელ ნორმატივებში. შიდასასკოლო შეჯიბრებებს აქ მხოლოდ ფრენბურთსა და კალათბურთში აწყობენ და ისიც იშვიათად.

სკოლაში ერთხელ გამოუშვეს სპორტული კედლის გაზეთი, მაგრამ შემდეგ თავი მიანებეს. ასევე შუა გზაზე მიატოვეს სარბენი ბილიკის მოწყობა. გასულ წელს სკოლამ გაიღო ხარჯები სპორტული დარბაზის მშენებლობისათვის, მაგრამ მახარაძის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო კანტორა დაუშვებლად აჭიანურებს სამუშაოს. დღეისათვის შენობის კედლები სანახევროდაც არაა ამოყვანილი, ხოლო მშენებლობისათვის საჭირო თანხა კარგა ხანია მთლიანად ჩაერიცხა აღნიშნულ ორგანიზაციას. სკოლის მესვეურები არ იბრძვიან მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის. შარშან სკოლაში 500 მანეთის ინვენტარი შეიძინეს, უფრო მეტიც რომ გვეყიდა, მაინც ვერსად დავაწყობდით და ვერც მოვიხმარდითო. მართლაც, ტანვარჯიშული იარაღები — ტაიჭი, ღერძი, ხარიხა საკლასო ოთახში უწყვიათ და გამოუყენებლად გამოდის მწყობრიდან.

ა. ხუჭუა,
ტ. ებრალიძე,
თ. ყიფიანი.

ითამაშებენ „ა" კლასში

დნეპროპეტროვსკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ფრენბურთში „ბ" კლასის გუნდებისათვის. ამ შეჯიბრებაზე თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდმა კარგად ჩაატარა წინასწარი შეხვედრები და მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება, სადაც მათ დაამარცხეს აზერბაიჯანის — 3:2, ესტონეთის — 3:1, ლიტვის — 3:0 გუნდები. წინასწარ შეხვედრებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ანგარიშით 3:1 ძლიეს კიეველ ფრენბურთელებს, რომლებმაც აგრეთვე მოიპოვეს ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის უფლება. კიევთან მოგება თბილისელებს ფინალშიც ჩაეთვალათ. საქართველოს ფრენბურთელებს უკანასკნელი შეხვედრა ჰქონდათ ყაზახეთის კოლექტივთან, მატჩის შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა თბილისელი სპორტსმენებისათვის. მათ დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი და „ა" კლასში თამაშის უფლება. მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის კოლექტივი.

თბილისელთაგან კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ თავდასხმაში ო. დობორჯგინიძე, ი. ბოიკო, ნ. მუსხელიშვილი და დაცვაში ვ. გუსევი.

ლ. ფავლენიშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის

ამხ. ი. ი. ბოჭორიძის სიტყვიდან

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ენერგიით იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. სულ უფრო მეტად ვითარდება სახალხო მეურნეობა, უმჯობესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები, მათი კულტურის დონე, მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება.

თქვენთვის ცნობილია, რომ მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას. იგი ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და, მშრომელთა ფიზიკური აღზრდის გარდა, დიდი წვლილი შეაქვს ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცებაში.

საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ უკანასკნელ წლებში მეტად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რაც მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლის შედეგად გახდა შესაძლებელი. ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ბაზებზე აღიზარდნენ ისეთი ნიჭიერი სპორტსმენები, რომლებმაც საერთაშორისო სარბიელზე ასახელეს სამშობლო. ამის დამადასტურებელია მელბურნის მე-16 ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა სპორტული დელეგაციის დიდი გამარჯვება.

საბჭოთა სპორტის წინსვლაში გარკვეული წვლილი მიუძღვით საქართველოს სპორტსმენებს. ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ცალკეული სახეობები იმდენად განვითარდა, რომ დამოუკიდებლად გვიხდება საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლა. ამის გარდა, თქვენთვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ მეხუთე ადგილი დაიკავა.

მაგრამ მოპოვებული წარმატებები ჯერ კიდევ ვერ პასუხობენ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე დასახულ ამოცანებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპორტის ზოგიერთ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკა მნიშვნელოვნად დაწინაურდა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ საგრძნობლად ჩამოვრჩებით სპორტის ისეთ წამყვან სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა, კრივი, ცხენოსნობა, ველოსპორტი და სხვა. ფიზკულტურისა და სპორტის განუხრელ წინსვლას ხელს უშლის რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მეტად დაბალი დონე. პირველ რიგში ეს არის მიზეზი, რომ საქართველოს ნაკრები გუნდები თითქმის ყველა სახეობაში მხოლოდ თბილისელებისაგან კომპლექტდება. საქართველოს 45 რაიონიდან უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არც ერთი სპორტსმენი არ შესულა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში.

ასეთი დაუშვებელი მდგომარეობა გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ სპორტული ბაზების სიმცირით. რესპუბლიკის ბევრ რაიონში არა გვაქვს მარტივი ტიპის მოედანიც კი. მთელ რესპუბლიკაში მხოლოდ ერთი ველოტრეკია, ზამთრის საცურაო აუზი მხოლოდ თბილისშია, მაგრამ ისიც ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, წყალში მხტომელებმა ზამთარში რომ ივარჯიშონ, ამისათვის არავითარი, თუნდაც პრიმიტიული ბაზაც კი არ არის. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ჩვენმა წყალბურთელთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის პირველ წრეში — მერვე. ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ მთელი ზამთრის განმავლობაში საქართველოს წყალბურთელებს ნორმალური წვრთნის არავითარი საშუალება არ ჰქონდათ. ამავე მიზეზით აიხსნება რესპუბლიკაში სასროლო სპორტის საგრძნობი ჩამორჩენა. მოუწყობელია საბჭოთა კავშირში ცნობილი ბაკურიანის მაღალმთიანი სათხილამურო ბაზა. დღემდე ვერ მოხერხდა მისი ელექტროენერგიით უზრუნველყოფა და გზების გაყვანა. ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა და საბინაო ფართობის დიდი სიმცირის გამო ბაკურიანში საკავშირო მასშტაბის ღონისძიებების ჩატარება შეუძლებელი ხდება. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში არსებული ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, არც ზღვისპირა რაიონებში და არც ტბებსა და მდინარეებზე არა გვაქვს კეთილმოწყობილი საწყლოსნო სადგური. აა ასეთ მდგომარეობაში მომზადებულ ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს უხდებათ ბრძოლა ისეთ კოლექტივებთან, რომლებსაც აქვთ ათობით საცურაო აუზი და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი სხვა სპორტული ბაზები.

რესპუბლიკაში სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და გაფართოების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1955 წლის 7 ივნისის დადგენილებით თბილისის საქალაქო საბჭოს დაავალა ფიზკულტურელთა პარკში საცურაო აუზის რეკონსტრუქცია და წყალში სახტომი 10-მეტრიანი კოშკის დადგმა. დადგენილების ეს პუნქტი შეუსრულებელია. რესპუბლიკაში ერთადერთი სპეციალური საჭიდაო დარბაზის კაპიტალური რემონტი მეორე წელია გრძელდება. ზემოაღნიშნული დადგენილებით ბაზების აგება დავალებული ჰქონდათ ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სამრეწველო საქონლის სამინისტროებსა და სხვა ორგანიზაციებს, მაგრამ ამ მიმართებით ცოტაა გაკეთებული. თბილისში სადემონსტრაციო დარბაზის აშენება დავალებული ჰქონდა სოფლისა და ქალაქის მშენებლობის სამინისტროს, რომელმაც ორი წლის განმავლობაში მხოლოდ საძირკვლის გათხრა შესძლო. ასეთივე მდგომარეობაა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწყებული დელისის იპოდრომის მშენებლობაზე.

მისასალმებელია რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ინიციატივა და ენთუზიაზმი ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეში. მახარაძის, ქობულეთის, საგარეჯოს, ლანჩხუთის, კასპის რაიონებისა და ქალაქების ქუთაისის, ფოთისა და სტალინირის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დარაზმეს აქტივი, გამოიყენეს რა ადგილობრივი რესურსები, აგებენ კეთილმოწყობილ სპორტულ ბაზებს. მაგრამ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების ამ ძვირფას თაოსნობას მხარდაჭერა სჭირდება. თუ საქმეს ხელი მოვკიდეთ და გადავწყვიტეთ ბაზის აგება, იგი უნდა იყოს ყოველმხრივ მოწყობილი და კულტურული. ასეთ სამუშაოთა შესასრულებლად გამოყოფილი თანხები საკმარისი არ არის.

იმისათვის, რომ არსებული სპორტული ბაზებიდან ნაწილი მაინც მოვიყვანოთ წესრიგში და სრულყოფილი გავხადოთ, დავამთავროთ ქუთაისის სტადიონის მშენებლობა, ზუგდიდის იპოდრომის კაპიტალური რემონტი, ყაზბეგის რაიონში არსებული ერთადერთი სპორტული დარბაზის მშენებლობა, გარდა ამისა დახმარება გავუწიოთ საზღვრისპირა და მთიანი რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მარტივი ტიპის ბაზების აგებასა და არსებულის კეთილმოწყობაში, საქართველოს უმაღლეს საბჭოს სესიას ვთხოვთ 1957 წლის ბიუჯეტში დამატებით გაითვალისწინოს სახსრები.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული. მიმდინარე წელს ბაქოში ჩატარდება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადა, რიგაში — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, ხოლო 1959 წელს მოსკოვში კვლავ მოეწყობა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა. ამ სამ მეტად საპასუხისმგებლო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის აქედანვეა გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა. ამიტომ, ჩვენმა საქმიანობამ რომ სასურველი ნაყოფი გამოიღოს, რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს მეტი დახმარება ესაჭიროებათ. იმედია საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესია გაითვალისწინებს ყოველივე ზემოთქმულს და დააკმაყოფილებს ჩვენს თხოვნას.

სოფლის ძალოსნები

ზესტაფონის კულტურის სახლში გაიმართა შეჯიბრება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდურ პირველობაზე ძალოსნობაში. ერთმანეთს ეჯიბრებოდა 11 რაიონი: ცხაკაია, ზესტაფონი, ამბროლაური, ონი, ორჯონიკიძე, ფოთი, მახარაძე, ქუთაისი, ქვემო-სვანეთი, აფხაზეთი და აჭარა. კონკურსს გარეშე შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისიდან 8 კაცი, წულუკიძიდან — 2 და ცაგერიდან — 1.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა აფხაზეთმა, მეორე ადგილი — აჭარამ, მესამე ადგილი — ონმა. სუსტად გამოვიდნენ შეჯიბრებაზე ქუთაისის, ქვემო სვანეთის, ამბროლაურისა და ორჯონიკიძის რაიონების გუნდები.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს: ჩოლოკიანმა (აფხაზეთი) — 262,5 კგ. გრიგორიანმა (თბილისი) — 305 კგ. ასლანიძემ (ზესტაფონი) — 317,5 კგ. გოგიტიძემ (აჭარა) — 325 კგ. ყუბანეიშვილმა (თბილისი) — 370 კგ. ხატიაშვილმა (თბილისი) — 357,5 კგ. ჭანტურიამ (აფხაზეთი) — 327,5 კგ. შეჯიბრების მსვლელობაში ი. ყუბანეიშვილმა ორი ხელით აკვრაში (საშუალო წონა) დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი — 152,5 კილოგრამი. „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს: მჩატე წონის ძალოსანმა დათიკაშვილმა. მან ორი ხელით აჭიმა 90 კილოგრამი. მსუბუქ წონაში გრიგორიანმა აჭიმა 95 კგ. აიტაცა 90 კგ. აკრა 120 კგ. და სამჭიდის ჯამში აჩვენა 305 კგ. ასლანიძემ (მსუბუქი წონა) აიტაცა 100 კგ. მძიმე წონაში კი ხატიაშვილმა ორი ხელით აჭიმა — 112,5 კგ.

შეჯიბრებამ გამოავლინა ბევრი ნიჭიერი, მომავლის მქონე ძალოსანი: ზენდიაშვილი (ონი), სურამანიძე, გოგიტიძე და ხალვაში (ბათუმი), მინასოვი (ფოთი), წიკლაური (თბილისი), ვახიშვილი და გუგუჩია (აფხაზეთი) კარგ იმედებს იძლევიან.

შ. ულენტი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

★

მოსკოვში „კრილია სოვეტოვის" დარბაზში მიმდინარეობს მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. მონაწილეობენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები.

შეჯიბრებაზე გათამაშდება როგორც პირადი პირველობა, ისე წყვილთა პირველობა ქალთა და ვაჟთა შორის.

• • •

სურათზე: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ჩემპიონი მ. კარანეშევი თამაშის დროს.

ფოტო ლ. დორენსკისა

★

„ბ" კლასის კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი

25 მარტს ხარკოვში, „კრასნოე ზნამიასა" და „დინამოს" სპორტულ დარბაზებში, დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კალათბურთში „ბ" კლასის გუნდებს შორის. ჩემპიონატში გამოდის ვაჟთა და ქალთა 18-18 გუნდი. გათამაშების მონაწილე კოლექტივები დაყოფილნი არიან სამ ჯგუფად. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გამოსული გუნდები (სულ 6) ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან პირველი ადგილისათვის ბრძოლაში.

საქართველოდან ამ გათამაშებაში მონაწილეობენ თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა და ვაჟთა გუნდები. ქალთა შორის მეორე ჯგუფში თბილისის „ბურევესტნიკის" გარდა გამოდიან ტალინის „კალევი", რიგის „დინამო", კაუნასის „ჟალგირისი" II, ალმა-ატის „ბურევესტნიკი" და ლენინგრადის ოფიცერთა სახლი. ვაჟთა შორის მესამე ჯგუფში თამაშობენ: ალმა-ატის „სპარტაკი", თბილისის „ბურევესტნიკი", ლენინგრადისა და ტაშკენტის „ბურევესტნიკი", ერევნის „სპარტაკი" და მინსკის გუნდი.

გათამაშების პირველ დღეს თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდმა სუსტად ჩაატარა შეხვედრა ლენინგრადის ოფიცერთა სახლის წარმომადგენლებთან და დამარცხდა — 26:44 (14:29). თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდი თამაშობდა ერევნის „სპარტაკთან". თბილისელთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ადეიშვილი, ტოგონიძე, აჩბა, კეკელია და ლეჟავა. ერევნელთა შორის იყვნენ: მარქარიანი, ცარუკიანი, სარქისიანი, ვართაპეტიანი და შხინიანი.

ანგარიში თბილისელებმა წაიყვანეს — 5:2. მე-12 წუთზე სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა საყაიმო შედეგს — 17:17. შემდგომში უპირატესობა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის მხარეს იყო. პირველ ნახევარს იგებს თბილისის კოლექტივი — 28:27.

მეორე ნახევრის დიდი ნაწილი კვლავ ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. მხოლოდ მე-38 წუთზე, როდესაც თამაშის დამთავრებას აკლდა 2 წუთი, ერევნელებმა შეძლეს ანგარიშის წაყვანა და შემდეგ მოიგეს კიდეც შეხვედრა 59:55. ეს თამაში კარგად ჩაატარა ბურევესტნიკელმა ლეჟავამ, რომელმაც გუნდს 18 ქულა მისცა.

აღსანიშნავია, რომ „ბ" კლასის კალათბურთელთა ჩემპიონატში გამოდის ბევრი მაღალი ტანის მოთამაშე. ასე მაგალითად, ბაქოს ჰყავს პეტროვი, რომლის სიმაღლეა 208 სმ, როსტოვს — ზუბკოვი — 204 სმ (ზუბკოვი ოლიმპიური თამაშების მონაწილეა), ტალინს — ვაიკი — 203 სმ, თბილისს — ლეჟავა — 205 სმ, კიევს — არნოლდოვი — 200 სმ, რიგას — დრაკე — 202 სმ. უნდა ითქვას ისიც, რომ ტალინის გუნდის შემადგენლობაში გამოდის სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ლისოვი.

პირველი დღის ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები:** პირველი **ჯგუფი** — „ბურევესტნიკი" (ვოროშილოვგრადი)-„სტროიტელი" (ხარკოვი) — 67:40, სვერდლოვსკი-„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 54:48, „ბურევესტნიკი" (ფრუნზე)-„დინამო" (ყაზანი) — 49:48. მეორე **ჯგუფი** — „კალევი" (ტალინი)-„ბურევესტნიკი" (აშხაბადი) — 52:50, „ჟალგირისი" II (კაუნასი)-„დინამო" (რიგა) — 31:26. მესამე **ჯგუფი** — „დინამო" (ალმა-ატა)-„ბურევესტნიკი" (ტაშკენტი) — 60:29, „ბურევესტნიკი" (კიშინიოვი)-„ბურევესტნიკი" (მინსკი)-38:25, „ბურევესტნიკი" (ერევანი)-„ბურევესტნიკი" (ბაქო) — 47:37.

ვაჟები. პირველი **ჯგუფი** — „ბურევესტნიკი" (როსტოვი)-„დაუგავა" (რიგა) — 64:62, „ბურევესტნიკი" (სტალინაბადი)-„ბურევესტნიკი" (ფრუნზე) — 76:53. მეორე **ჯგუფი** — „ბურევესტნიკი" (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი" (აშხაბადი) — 78:62, „ჟალგირისი" (კაუნასი)-„ბურევესტნიკი" (სტალინგრადი) — 66:54, „კალევი" (ტალინი)-„ბურევესტნიკი" (კიშინიოვი) — 85:48, მესამე **ჯგუფი** — ოფ. სახლი (ლენინგრადი)-ოფ. სახლი (ტაშკენტი) — 83:49, „სპარტაკი" (მინსკი)-„სპარტაკი" (ალმა-ატა) — 71:45.

მეორე დღეს ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდი შეხვდა ალმა-ატის „სპარტაკს". თბილისელებმა მოედანზე გამოიყვანეს მეორე შემადგენლობა (კაკაშვილი, ლეჟავა, სურმანიძე, ჭამაკაშვილი, ლომსაძე) და მოიგეს პირველი ნახევარი — 46:25. მეორე ნახევარში კიდევ უფრო აშკარა იყო მათი უპირატესობა. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 98:48.

თბილისის ქალთა გუნდმა კვლავ უფერულად ჩაატარა შეხვედრა ტალინის „კალევთან" და განიცადა მეორე დამარცხება — 23:43. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გათამაშება მიმდინარეობს ახალი წესებით, რომელიც კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ამას წინათ მიიღო.

ი. პარლაგაშვილი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.



ფეხბურთის გულშემატკივრები ადრევე შეუდგნენ სეზონისათვის მზადებას — ყოველგვარ მდგომარეობიდან მატჩის საყურებლად ამზადებდნენ ორგანიზმს, ფორმაში შედიოდნენ. დახედეთ სურათს (მარცხნიდან ზევით) წინასწარ ეჩვევიან წვიმიან ამინდს, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე მოხვედრის შემთხვევაში— სიცხე-პაპანაქებას, მატჩზე დაგვიანების თავიდან აცილებას. ყიდულობენ ბითუმად მზესუმზირას, ეჩვევიან ტელეფონის საშუალებით სტადიონის ბილეთების შოვნის ხრიკებს. ბოლო სურათზე კი ნაჩვენებია გულშემატკივარი, რომელიც ერთი თვეა ეჩვევა სამსახურიდან ადრე წასვლას, რათა ფეხბურთის პირველ მატჩზე არ დააგვიანოს.

ნახ. თ. მარგველაშვილისა.

ფეხბურთის მოედნებზე

◇

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 27 მარტი.

საოლქო სპორტული კლუბი (თბილისი) — „სპარტაკი" (ერევანი) — 3 : 2 (1 : 1).

„სპარტაკი" (ერევანი) — ზატიკიანი, ხაჩმანუკიანი, პოლადიანი, სემერჯიანი, კეგიანი, ვარდანიანი, დალაქიანი, ანტონიანი, კანუნიკოვი, აბრამიანი (მელქონიანი), პოლოსიანი.

საოლქო სპორტული კლუბი — ივანოვი, ჭანჭალეიშვილი, თორაძე, კვირკველია, ხუნდაძე, მიროშნიკოვი, მიქაძე, ნორაკიძე, მელაშვილი, კურტანიძე, ბეგლარიანი.

მსაჯი ვ. არხიპოვი (მოსკოვი).

◇

სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მატჩი

ჯერ არც მაყურებლებს ჰქონდათ დაკავებული ადგილები თოვლისაგან დასველებულ ტრიბუნებზე, არც მოთამაშეები იყვნენ ხეირიანად განლაგებული თავიანთ ზონებში და პირველი გოლი უკვე გატანილ იქნა. სპარტაკელებმა მარჯვენა მხრიდან გაითამაშეს კომბინაცია გრძელი გადაცემებით და როცა მეკარე ივანოვი გამოვიდა ბურთზე, ანტონიანმა დაასწრო მას და ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი — 1:0.

თბილისელებმა დაუყოვნებლივ სცადეს მოწინააღმდეგის ამ უპირატესობის ლიკვიდირება, გუნდი თავისი ჩვეული დაგეგმილი, ტემპიანი გადაცემებით ამოქმედდა. შეტევა წარმოებდა მთელ ფრონტზე, გაშლილად. ნახევარმცველთა თავდასხმაში აქტიური ჩარევით. მხოლოდ მელაშვილმა ვერ მოძებნა შესაფერისი პოზიცია დასაწყისში და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი დაკარგა. სტუმრებმა სასწრაფო გადაადგილებანი მოახდინეს თავიანთ შემადგენლობაში — უკან იქნა დაწეული ანტონიანი, ხოლო კეგიანს ნახევარმცველის მხოლოდ ნომერი ეწერა ზურგზე, მთელი მატჩის განმავლობაში იგი თავდასხმაში თამაშობდა.

თამაშის დაწყებამდე ზუსტად ერთი საათით ადრე წამოვიდა უხვი თოვლი, რომელიც ხელს უშლიდა ხილვადობას, მინდორი ატალახდა, ბურთი დამძიმდა. მიუხედავად ამისა, თამაში მიმდინარეობდა კარგ ტემპში, მაღალ ტექნიკურ-ტაქტიკურ დონეზე. „სპარტაკის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა კანუნიკოვმა მოედნის სიღრმეში გადაინაცვლა, რათა აქედან გრძელი გადაცემით გაეყვანა კართან დალაქიანი, კეგიანი ან პოლოსიანი.

მაგრამ ყველა ისინი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით — დალაქიანი, რომელსაც „სულის მოთქმის" საშუალება არ მისცა კვირკველიამ.

არმიელთა უპირატესობა სულ უფროდაუფრო აშკარა ხდებოდა. გუნდი თამაშობდა შეწყობილად, ტემპიანად, მოფიქრებული კომბინაციებით, მოთამაშეები დაუძაბავად ასრულებდნენ რთულ ტექნიკურ ელემენტებს, შეუცდომლად ესმოდათ ერთმანეთის. თანდათან შევიდა თამაში მელაშვილი. გაბედულად, სწრაფად მოქმედებდა მიქაძე. მხოლოდ ერთხელ გავიდა გარღვევაზე „სპარტაკი", მაგრამ ივანოვმა დროზე აიღო ბურთი აბრამიანისაგან.

ტაიმის დასასრულს თბილისელებმა გააკეთეს ის, რაც ერევნელებმა მის დასაწყისში: ბეგლარიანი კარგად გავიდა მარცხნივ და დაჰკიდა ბურთი საჯარიმო მოედანზე. მელაშვილმა გაქვითა ანგარიში — 1 : 1.

მეორე ტაიმის პირველ წუთებზე თბილისელებმა „გრძელი როქი" გააკეთეს — მიქაძემ და ბეგლარიანმა შეიცვალეს ადგილები. მიქაძემ მარცხენა ფრთიდან დაარტყა კარში. ზატიკიანმა და ანტონიანმა ხელი შეუშალეს ერთმანეთს და ამ უკანასკნელის ფეხიდან ბურთი კარში გავიდა — 1 : 2.

კარგა ხნის განმავლობაში არმიელები მოედნის სრული გამგებლები იყვნენ და მათი თამაში ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებლებზე. მე-18 წუთზე „სპარტაკის" კართან შექმნილ არეულობაში ხუნდაძემ შეამჩნია მეკარის მიერ დატოვებული კარი და ზუსტად დაარტყა კარში — 3 : 1.

მხოლოდ მატჩის ბოლო 15 წუთის განმავლობაში შესუსტდა თბილისელთა იერიშები. თავდამსხმელებმა შეანელეს შეტევა, გადაცემამ დაჰკარგა სიზუსტე, აღარ იგრძნობოდა კოლექტიურობა და სიმძიმის ცენტრმა მათი კარისაკენ გადაინაცვლა. „სპარტაკის" ერთ-ერთი იერიშისას პოლოსიანი პირისპირ გავიდა ივანოვთან და კარი მხოლოდ მეკარის დროულმა ნახტომმა იხსნა გოლისაგან. მალე ერევნელებმა საჯარიმო დარტყმის უფლება მიიღეს 18 მეტრის მანძილიდან და სემერჯიანმა გაიტანა მეორე გოლი.

არმიელებმა შეინარჩუნეს ანგარიში 3 : 2 თავიანთ სასარგებლოდ და გავიდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდგომ ტურში.

ბ. ქორქია

საქართველოს პირველობა

24 მარტს დაიწყო საქართველოს პირველობა ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

ამ ჯგუფის დებიუტანტმა რუსთავის „ბურევესტნიკმა" თავის პირველი შეხვედრა ჩაატარა ქუთაისში ადგილობრივი „ტორპედოს" წინააღმდეგ. მატჩი დაიწყო სტუმრების შეტევით და ო. ოთარაშვილმა გახსნა ანგარიში. მალე მასპინძლებმა მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს კომბინაცია და გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე ბურთი გაიტანეს — 2:1. მეორე ტაიმში ბურევესტნიკელები თამაშობდნენ ქარის წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენერგიულად უტევდნენ. 64-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა და მალე ტორპედოელთა კარში გატანილ იქნა გადამწყვეტი ბურთი. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა რუსთავის „ბურევესტნიკმა".

• • •

ბათუმის სტადიონზე დანიშნული იყო მატჩი ქობულეთის „კოლმეურნესა" და სოხუმის „დინამოს" შორის. ქობულეთელებს პირველ ტაიმში ჰქონდათ ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს მისი გამოყენება—0:0. შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო სწრაფ ტემპში წარიმართა. სოხუმელთა ერთ-ერთი შეტევა ლამაზი გოლით დაამთავრა ფარულავამ და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

• • •

მწვავე ბრძოლით აღინიშნა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და 26 კომ. სახ. რაიონის გუნდების მატჩი. თამაშის პირველ ნახევარში ტრამვაელებმა ერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. მეორე ტაიმში ასლამაზოვმა ანგარიში ორამდე გაზარდა. მალე 26 კომ. სახ. რაიონის ფეხბურთელებს მიეცათ ერთი საპასუხო ბურთის გატანის საშუალება, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. თამაშის დასასრულს ტრამვაელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით — 3:0.

• • •

მახარაძის „კოლმეურნემ" თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „დინამო". მასპინძლებმა შეწყობილი, ენერგიული იერიშებით დაიწყეს თამაში და მალე ხომერიკმა და გვარამაძემ ორჯერ აიძულეს მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში. დინამოელებმა გააძლიერეს საპასუხო შეტევა და ბაზაძემ შეძლო ერთი გოლის გაქვითვა. შემდგომში „კოლმეურნემ" კიდევ ერთხელ წარმატებით დაამთავრა თავისი იერიში — 3:1. მეორე ტაიმში ქუთაისელებმა დამატებით ერთი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში და წააგეს მატჩი ანგარიშით 1:4. სუსტად თამაშობდა დინამოელთა დაცვა, განსაკუთრებით მეკარე ნადარეიშვილი.

• • •

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი სამტრედიაში ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და რუსთავის „მეტალურგს" შორის. მიუხედავად ამისა, 90 წუთის მანძილზე ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ფოთის „ვოდნიკი" ლანჩხუთში შეხვდა ადგილობრივ „კოლმეურნეს". ლანჩხუთელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ პირველ ტაიმში, მაგრამ იგი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. შესვენების შემდეგ „ვოდნიკმა" გაიტანა გოლი მოწინააღმდეგის კარში, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ორაგველიძემ გაქვითა იგი — 1:1.

რინგზეა ჭაბუკები

ამას წინათ სოხუმის „სპარტაკის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა აფხაზეთის ჭაბუკ მოკრივეთა პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სოხუმის, ტყვარჩელის, გუდაუთისა და გალის რაიონების 46 ჭაბუკი მოკრივე.

ორდღიანი დაძაბული შეჯიბრების შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს ვ. მუსიენკომ, ვ. ტორჩუამ, მ. ღარწკიამ, ი. გაგულიამ, პ. ხარლამპიდიმ, რ. შამრაიმ, ლ. ზუხბამ, ვ. ყალიჩავამ და ა. გარელიკმა.

ე. გასპარიანი

მონბლანის ტრაგედია

კაშკაშა მზის სხივებით გაბრწყინებული 4807 მ სიმაღლის მონბლანი ამაყად აღმართულიყო სივრცეში, როდესაც 23 წლის ფრანგი სტუდენტი ჟან ვინკვდონი და 24 წლის ბელგიელი სტუდენტი ფრანკოზ ჰენრი მასზე ასვლას შეუდგნენ. მათ ის იყო ფეხი შედგეს მწვერვალის მისასვლელებზე, რომ უეცრად ამოვარდა 100 კმ წამში სისწრაფისა და 30° სიცივის მქონე ქარიშხალი. ცხადი იყო, რომ მოხალისე მთამსვლელებს უბედურება ელოდათ. მეორე დღეს, როდესაც ამინდი ოდნავ გამოკეთდა, მათ საძებრად ჰაერში ავიდა ვერტმფრენი, რომელმაც შეამჩნია კიდევაც ორივე, მაგრამ დაშვების საშუალება არ ჰქონდა.

ახალგაზრდა მთამსვლელების დასახსნელად გაეშურა გამოცდილი ალპინისტი ლიონელ ტერეი, მაგრამ სულ უფრო გაძლიერებული ქარიშხალის გამო იძულებული გახდა შუა გზიდან დაბრუნებულიყო.

მაშინ ორგანიზაცია უყვეს ვერტმფრენების მთელ ჯგუფს. ერთ-ერთი ვერტმფრენი მიჰყავდა ფრანკ ბლანკს. იგი სამ ამხანაგთან ერთად, ავიდა ჰაერში, რათა მწვერვალის ძირში გასაჭირში მყოფებთან სულ ახლოს დაშვებულიყო. მკაცრ სტიქიასთან რამდენიმე ხნის ბრძოლის შემდეგ მანქანა დაზიანდა და ჩამოვარდა. მძღოლი ბლანკი თვითონ გადასარჩენი შეიქმნა და შიშისაგან 24 საათში რამდენიმე წლით მოხუცდა, დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ, მფრინავებმა, როგორც იქნა, იპოვეს სტუდენტები. ორივე ახალგაზრდას ისეთი მძლავრი მოყინულობა მიელო, რომ მათი გადაყვანა ვერტმფრენით შეუძლებელი იყო, ისინი მარხილებით უნდა ჩამოეყვანათ ბარში. მოყინულთა მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. დადგინდა, რომ მათ ხელფეხს ამპუტაცია ესაჭიროებოდა. მფრინავებმა ახალგაზრდები დიდი წვალებით მიიყვანეს ჩამოვარდნილ ვერტმფრენთან და კაბინაში დატოვეს. თვითონ კი სცადეს გზა გაეკვლიათ შემდეგ თავშესაფრამდე. ამასობაში ახალგაზრდების გადასარჩენად კვლავ ორი მთამსვლელი გადმოხტა პარაშუტით. ისინი შეუერთდნენ ვერტმფრენის ეკიპაჟს და ერთიანი ძალით, როგორც იქნა, მიაღწიეს თავშესაფარს. სამი დღის შემდეგ, როდესაც გამოიდარა, ერთ-ერთმა ვერტმფრენმა გადაუფრინა ჩამოვარდნილი ვერტმფრენის ნარჩენებს, რომელშიც ვინკვნდონი და ჰენრი იყვნენ დატოვებულნი. პილოტმა, რომელმაც, რაც შეიძლებოდა ახლოს, სულ რამდენიმე მეტრით გადაუფრინა მათ თავზე, განაცხადა: „მათი სხეული მთლიანად თოვლით იყო დაფარული, ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, სახიდან თოვლის გადაწმენდას მაინც შეეცდებოდნენ".

მაშველი ექსპედიციის მე-14 დღეს უკვე ცხადი იყო, რომ ყოველგვარი ცდა მათი ძებნისა უშედეგო და უაზრო იქნებოდა. მთამსვლელმა ტერეიმ განაცხადა, რომ შეიძლებოდა ორივე ახალგაზრდის გადარჩენა; „ისინი არ დაიღუპებოდნენ, რომ ჩვენ მაშინვე მიგვეღო ისეთივე ზომები, როგორსაც ვღებულობთ დღეს. სამწუხაროდ, ჩვენ დავაგვიანეთ. ამასთანავე მათი გადასარჩენად ჩატარებულ ყოველგვარ ცდაში შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდით".

ი. აკობია (ზუგდიდი)



შამათი ორ სვლაში

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 01802